პრესრელიზი *12 ოქტომბერი, 2023*

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიმართვა საზოგადოებისადმი

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკომისიას, ევროკავშირის საგარეო სამსახურს და ევროკავშირის საბჭოს მიმართავს.

გიზიარებთ განცხადების ტექსტს:

”დღეს საქართველო ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების ამ რთულ ეტაპზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ეს გადაწყვეტილება უდავოდ ხელს შეუწყობს საქართველოს მშვიდობიან წინსვლას, განმუხტავს დაძაბულობას და დიდად დაეხმარება ქვეყნის შიგნით მიმდინარე დისკუსიების გადაყვანას კონსტრუქციული დიალოგის ფორმატში.

25 წელიწადზე მეტია, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია მუდმივად ზრუნავს საზოგადოების განათლებისა და წიგნიერების დონის ამაღლებაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველი გამომცემლები რთულ ამოცანებს შევეჭიდეთ. ჩვენ არ გვქონდა თავისუფალი მეწარმეობის გამოცდილება, საბჭოთა კავშირში წიგნის გამომცემლის პროფესიაც კი არ არსებობდა ამ სიტყვის დასავლური გაგებით, მაგრამ შევძელით და ჩვენი სექტორი საკმაოდ სწრაფად განვავითარეთ. ამის ერთ-ერთი ლოგიკური შედეგი ისიც იყო, რომ 2018 წელს საქართველო შთამბეჭდავად წარდგა ევროპისა და მთელი მსოფლიოს წინაშე ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით. ასეთ ავტორიტეტიან ფორუმზე მოპოვებულმა წარმატებამ დამატებითი სტიმული მოგვცა და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხელმისაწვდომია საუკეთესო თანამედროვე გამოცემები: როგორც ორიგინალური ტექსტები, ისე თარგმნილი წიგნები.

ჩვენ, როგორც სახელმწიფოს განვითარებისთვის მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ყოველდღიურად უხდება უშუალო ურთიერთობა ყველა სოციალურ ჯგუფთან, კარგად ვიცით საზოგადოების განწყობა და მისწრაფებები. სწორედ ამიტომ გვეყო გამბედაობა, ამ წერილით მოგვემართა თქვენთვის. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენი სახელმწიფოსთვის თქვენი მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების ერთიანობას დღეს, ალბათ, არაფერი შეუწყობს ხელს ისე, როგორც საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭება.

გვჯერა, რომ საქართველოს მომავალი ევროპაშია. ეს რწმენა ჩვენს ევროპელ მეგობრებსაც არაერთხელ გამოუთქვამთ, რაც გარკვეული იმედის საფუძველს გვაძლევს. ველით თქვენს დადებით გადაწყვეტილებას, რომელიც უფრო რეალურს გახდის ჩვენს მრავალწლიან ოცნებას.

გვჯერა ისიც, რომ დიდ ევროპულ ოჯახში ტერიტორიით პატარა, მაგრამ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მდიდარი საქართველოს მიღება ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება. ევროპა ნამდვილად არის Universitas multiplex, ანუ მრავალფეროვანი ერთობა, და საქართველოს ადგილიც ევროპაშია."

მეტი ევროპა - მეტი განათლება - მეტი კეთილდღეობა.

#GeorgiancitizensforEU

საკონტაქტო პირი: ანა მარწყვიშვილი 598 55 93 68